საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2020 წლის საქმიანობის ანგარიში

შესავალი

საგარეო საქმეთა სამინისტრო 2020 წელს აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მთავრობის მიერ COVID-19-ის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში და მაქსიმალურად იყო მობილიზებული ვირუსის გავრცელებით გამოწვეული კრიზისით დაზარალებული საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენის კუთხით, რის შედეგად უცხოეთში მყოფ ათასობით თანამემამულეს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება. კრიზისის აქტიური ფაზის დაწყებამდე, სამინისტრო აგრძელებდა საქმიანობას 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ და სამთავრობო პროგრამა 2019-2020 შესაბამისად განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით: მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობის, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების, საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში მუშაობის, ეკონომიკური დიპლომატიის, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს კულტურის პოპულარიზაციისა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ ინფორმირების მიმართულებით.

გლობალური პანდემიის მიუხედავად, საქართველომ შეძლო და წარმატებით გაართვა თავი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობას. ნამდვილად საამაყოა, რომ ქვეყანამ, რომელიც პირველად გახდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, შეძლო და დატოვა მნიშვნელოვანი პოზიტიური კვალი ორგანიზაციაში და ამას ერთხმად აღიარებენ, როგორც თავად ორგანიზაცია, ასევე ჩვენი პარტნიორები.

დიდი ყურადღება ეთმობოდა, ასევე, საზღვარგარეთ ქართულ დიასპორასთან მუშაობას, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. სამინისტროს წარმომადგენლები ვიდეო-ფორმატის მეშვეობით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებში და კონფერენციებში; ასევე, ონლაინ-ფორმატში ჩატარდა ორმხრივი მოლაპარაკებები პარტნიორ ქვეყნებთან. COVID-19-თან დაკავშირებული შეფერხებებისა და მრავალი ღონისძიების გადადების, ან გაუქმების მიუხედავად, გაიმართა რიგი მნიშვნელოვანი მაღალი დონის ოფიციალური თუ სამუშაო ორმხრივი ვიზიტები.

2020 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით. საქმიანობა მიმართული იყო ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის და მხარდაჭერის მობილიზებისა და კიდევ უფრო გააქტიურებისაკენ, კერძოდ:

- ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების და მის ფარგლებში მოქმედი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა რუსეთის ოკუპაციის მძიმე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული გამოწვევების გადაწყვეტის გზების გამონახვის მიზნით.

  მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გამო, ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს მხრიდან თანათავმჯდომარეებმა მიიღეს გადაწყვეტილება 31 მარტს - 1 აპრილს დაგეგმილი, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 51-ე რაუნდის გადადებასთან დაკავშირებით. ხოლო, 8-9 სექტემბერს და 6-7 ოქტომბერს დაგეგმილი რაუნდები გადაიდო რუსეთის დესტრუქციული ქმედებების გამო. აღნიშნულის მიუხედავად, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა — ონლაინ შეხვედრები ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანა-თავმჯდომარეებთან და აშშ-სთან, როგორც მოლაპარაკებების მონაწილესთან; ასევე, 2 თებერვალს, 9 მარტს, 15 სექტემბერს, 23 ნოემბერს განხორციელდა თანათავმჯდომარეების ვიზიტი საქართველოში. აქტიურად ვაყენებდით რუსეთის აგრესიის შედეგად გამოწვეულ მწვავე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ პრობლემებს, მჭიდროდ ვმუშაობდით თანა-თავმჯდომარეებთან და აშშ-სთან მათი გადაჭრის გზების გამონახვისთვის და დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე, როგორიცაა ძალის არგამოყენება, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება, პროგრესის მიღწევისთვის.

  თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, 30 ივლისს, განახლდა ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (იპრმ) შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რაც დღესდღეობით მწვავედ დგას ადგილზე. ქართული მხარე კვლავ აქტიურად აყენებს გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (იპრმ) დროულად აღდგენის საკითხს ყველა შესაძლო მაღალ დონეზე.

  მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა პარტნიორი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება რუსეთის ოკუპაციის პოლიტიკის და ფაქტობრივი ანექსიისაკენ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. ხდებოდა ყველა შესაბამისი ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის გამოყენება რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების დაყენებისა და საერთაშორისო დღის წესრიგში მაღალ დონეზე შენარჩუნების მიზნით.

  რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან და საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამშვიდობო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები აქტიურად იყო დასმული და განხილული ორმხრივ ფორმატში გამართულ ყველა მაღალი დონის შეხვედრაზე, პოლიტიკური კონსულტაციებისა და სტრატეგიული დიალოგების (აშშ — სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხალხთა შორის ურთიერთობისა და კულტურული გაცვლის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, საფრანგეთი და გერმანია — სამმხრივი პოლიტიკური დიალოგი, დიდი ბრიტანეთი —უორდროპის სტრატეგიული დიალოგი) ფარგლებში.

  ასევე ეფექტიანად იყო გამოყენებული საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი ფორმატები:

  გაერო — ადამიანის უფლებათა საბჭოს მაღალი დონის სეგმენტის 43-ე სესია (24 თებერვალი), ადამიანის უფლებათა საბჭოს 45-ე სესია (5 ოქტომბერი), ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომები (22 ივნისი, 16 ივლისი), გენერალური ასამბლეის 74 სესია (3 სექტემბერი), უშიშროების საბჭოს სხდომა (5 აგვისტო);

  ეუთო — საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა (3-4 დეკემბერი), მუდმივი საბჭოს სხდომები (30 იანვარი, 28 მაისი, 17 ივლისი, 3 სექტემბერი, 12 ნოემბერი);

  ევროპის საბჭო — მინისტერიალი (4 ნოემბერი), მინისტრთა კომიტეტის სხდომა (21 ოქტომბერი), მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომები (22 აპრილი, 25 ნოემბერი), საპარლამენტო ასამბლეა (27 იანვარი);

  ევროკავშირი — საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა საკითხებზე დიალოგის მე-13 შეხვედრა (3 ივლისი); ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტი (12 თებერვალი);

ნატო — საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა (1-2 დეკემბერი), ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა (23 იანვარი, 14 ივლისი);

რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელშეწყობის საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა (16-17 ნოემბერი).

საქართველოს ხელისუფლების ინტენსიური ძალისხმევის შედეგად კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა - ადგილზე რუსეთის ფედერაციისა და მისი საოკუპაციო რეჟიმების მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებები ასახულ იქნა პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთ დოკუმენტში, მათ შორის:

- გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია - თანამშრომლობა საქართველოსთან (23 ივნისი);
- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში საქართველოსთან თანამშრომლობის შესახებ (17 აგვისტო);
- გაეროს გენერალური მდივნის ანგარიში აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (3 ივნისი);
- გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (3 სექტემბერი);
- ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები - „კონფლიქტი საქართველოში“ (3 აპრილი; 17 ნოემბერი);
- ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება - ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში (21 ოქტომბერი);
- ეუთოს ყოველწლიური ანგარიში (24 მარტი);
- ეუთოს საქართველოს მეგობართა ჯგუფის ერთობლივი განცხადებები (22 მარტი, 3 სექტემბერი);
- აშშ-ს 2019 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში (11 მარტი);
- აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ხალხთაშორისი სამუშაო ჯგუფის ერთობლივი განცხადება (13 მარტი);
- დიდი ბრიტანეთი - ადამიანის უფლებების და დემოკრატიის შესახებ 2019 წლის ანგარიში (16 ივლისი);
- ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგის მე-13 შეხვედრის პრეს რელიზი (3 ივლისი);
- გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის უორდროპის სტრატეგიული დიალოგის მეშვიდე რაუნდის ერთობლივი კომუნიკე (9 სექტემბერი).

კოვიდ-პანდემიის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ ფართო საერთაშორისო კამპანია აწარმოა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მე-12 წლისთავის აღსანიშნავად. აღნიშნული ძალისხმევის შედეგად ჩვენ ვიხილეთ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება, მათი მყისიერი რეაქცია და მკაფიო საჯარო განცხადებები ადგილზე რუსეთის უკანონო ნაბიჯებთან დაკავშირებით.

ინტენსიური მუშაობა გრძელდებოდა ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის მიმართ საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებისა და ინდივიდუალური ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესაძლო შემზღუდავი ზომების დაწესების მიზნით. შესაბამისად, სიისადმი მხარდაჭერა და სანქციების დაწესების მოწოდება ასახულია მათ არაერთ დოკუმენტში.

საანგარიშო პერიოდში ქართული მხარე ყველა შესაძლო დონეზე მუდმივად უსვამდა ხაზს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შემდგომი გაძლიერებისა და მანდატის სრულად განხორციელების აუცილებლობას. ინტენსიური იყო თანამშრომლობა მისიის წარმომადგენლებთან საოკუპაციო ხაზთან ვითარების ესკალაციის პრევენციის მიზნით.

მიმდინარეობდა მუშაობა არაღიარების პოლიტიკის განმტკიცების, რისკების ნიველირებისა და საზღვარგარეთ საოკუპაციო რეჟიმების უკანონო კონტაქტების აღკვეთის მიმართულებით. ამ კონტექსტში გრძელდებოდა ინტენსიური თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან და სხვადასხვა რეგიონების სახელმწიფოებთან, მათთვის რეგულარული ინფორმაციის მიწოდება, რათა ობიექტური სურათი ჰქონოდათ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე უკანონო პროცესებზე.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის ფარგლებში გრძელდებოდა აქტიური მუშაობა პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათი მხრიდან საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ მხარდაჭერისა და ინიციატივის ფარგლებში შექმნილი ფონდის „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ ფინანსური კონტრიბუციის მობილიზების კუთხით, ასევე, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის კონტაქტების, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში, გლობალური პანდემიის მიუხედავად, აქტიურად გრძელდებოდა ნაბიჯების გადადგმა ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით.

განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის როგორც ვიზიტები, ასევე კომუნიკაცია ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირებთან:

შედგა პრემიერ-მინისტრის ტელე-ვიდეო-კონფერენციები ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, შარლ მიშელთან; ევროკომისიის პრეზიდენტთან, ურსულა ფონ დერ ლეიენთან; ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტთან, ხოსეპ ბორელთან; სამეზობლოსა და გაფართოების საკითხებში ევროკომისართან, ოლივერ ვარჰელისთან. ასევე, განხორციელდა მინისტრის სატელეფონო თუ ვიდეო-შეხვედრები ევროპელ კოლეგებთან, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებზე საუბარს;

განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ბრიუსელში, რომლის დროს გაიმართა შეხვედრები ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან და ევროკომისრებთან;

მნიშვნელოვანი იყო პრემიერ-მინისტრის მონაწილეობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერთა ტელე-ვიდეო შეხვედრაში, რომელიც პარტნიორობის მომავლის დღის წესრიგის განსაზღვრას ეხებოდა;

საგარეო საქმეთა მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მინისტერიალში, ისევე როგორც სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰელისთან გამართულ შეხვედრაში აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად;

განხორციელდა საგარეო საქმეთა მინისტრის სატელეფონო ზარები ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან აღმოსავლეთ პარტნიორობის 2020 წლის შემდგომ დღის წესრიგში საქართველოს პრიორიტეტების მაქსიმალური გათვალისწინების თხოვნით;

მინისტრის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მიიღო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მაღალი რანგის ოფიციალურ პირთა შეხვედრაში ევროკავშირის საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის, ევროკომისიის, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად;

მინისტრის პირველმა მოადგილემ საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ევროკავშირთან ადამიანის უფლებების ორმხრივ დიალოგში;

მინისტრის პირველმა მოადგილემ შეხვედრა გამართა საქართველოში სტუმრად მყოფ ესტონეთის ელჩთან აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში, ჩვენი ინტერესებისა და პრიორიტეტების მისთვის გაცნობის მიზნით;

მინისტრის პირველმა მოადგილემ დისტანციური შეხვედრა გამართა ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის გენერალური მდივნის მოადგილესთან პოლიტიკურ საკითხებში ენრიკე მორასთან, რომელზეც ევროკავშირსა და საქართველოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს;

15 დეკემბერს დისტანციურად გაიმართა ასოცირების კომიტეტი, რომელშიც ერთი მხრივ საქართველოს მთავრობის უწყებებმა და მეორე მხრივ ევროკომისიის და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ასოცირების შეთანხმება

2020 წელს გრძელდებოდა ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება და ევროკავშირის სტანდარტების სხვადასხვა სექტორში ეტაპობრივი დანერგვა. 2020 წლის თებერვალში ევროკავშირმა გამოაქვეყნა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების განხორციელების ანგარიში, რომელიც დადებითად აფასებს მთელ რიგ დარგებში განხორციელებულ ცვლილებებს. შემდგომი ასეთი ანგარიში 2021 წლის დასაწყისში გამოქვეყნდება;

2020 წელს ამოქმედდა ევროკავშირში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასოცირების შეთანხმების ვალდებულებებთან ერთად შეიცავს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკით და აღმოსავლეთ პარტნიორობის „20 შედეგი 2020 წლისათვის“ დოკუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

დაიწყო მოლაპარაკებები ასოცირების ახალ დღის წესრიგზე (2021-2027) საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით, დოკუმენტთან დაკავშირებით უკვე ჩატარდა სხვადასხვა სამთავრობო უწყების ექსპერტების დონეზე პირველი მოლაპარაკება ევროკავშირის მხარესთან;

მიმდინარეობდა ევროპელ პარტნიორებთან მუშაობა, ევროკავშირის შიდა ბაზარზე მაქსიმალური ინტეგრაციისთვის. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის პროცესები, რომლებიც ფიზიკურ ინტეგრაციას, ევროკავშირთან დაკავშირებულობის (connectivity) გაზრდას გულისხმობს. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრემიერ-მინისტრის ბრიუსელში ვიზიტის დროს. დაიწყო მოლაპარაკება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ციფრულ სფეროებში ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ დიალოგის დაარსების თაობაზე;

ევროკავშირის წევრ თუ წევრობის კანდიდატი ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა, შედეგად სერბეთთან გაიმართა პირველი შეხვედრა ევროინტეგრაციის საკითხებზე დიალოგის ფარგლებში. მსგავს ფორმატზე მიმდინარეობს მუშაობა სხვა ქვეყნებთან.

აღმოსავლეთ პარტნიორობა

პანდემიის მიუხედავად, დატვირთული იყო დღის წესრიგი აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალ მიზნებზე მუშაობის კუთხით. გაიმართა არაერთი დისტანციური შეხვედრა, ვიდეო-კონფერენციის გზით, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში. მათგან აღსანიშნავია ივნისში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერთა შეხვედრა და საგარეო საქმეთა მინისტერიალი. ასევე ტელე-ვიდეო ფორმატში გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის თემატური პლატფორმებისა და პანელების შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უწყებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა;

მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა ბრიუსელთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, პარტნიორობის მომავალ მიზნებთან დაკავშირებით საქართველოს პრიორიტეტების ასახვის მიზნით. შედეგად, პრინციპული მნიშვნელობის საკითხები და მეტ ინტეგრაციაზე ორიენტირებული ხედვა აისახა ევროკავშირის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში მიღებულ დოკუმენტებში, კერძოდ ერთობლივ კომუნიკაციასა (მარტი) და ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს დასკვნით დოკუმენტში (მაისი);

განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოცირებული ქვეყნების - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის - ერთობლივი ძალისხმევა. მომზადდა სამი ქვეყნის ერთობლივი დოკუმენტები აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი მიზნების შესახებ, ასევე ერთობლივი წერილი ევროკავშირის მომავალი მრავალწლიანი საფინანსო ჩარჩოს ფარგლებში ასოცირებული ქვეყნებისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდის თაობაზე;

აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხზე ინტენსიური კომუნიკაცია მიმდინარეობდა ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებთან;

2020 წლის 10 ივლისს გამოქვეყნდა ევროკომისიის ანგარიში, რომელშიც დადებითად არის შეფასებული საქართველოს მთავრობის ძალისხმევა უვიზო მიმოსვლის სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;

საქართველო აგრძელებს აღებული ვალდებულებების შესრულებას. საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ კანონში“ ცვლილებების პაკეტი;

გაგრძელდა კონსულტაციები წევრ ქვეყნებთან საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების მიზნით. დღეისათვის, ევროკავშირის/შენგენის 21 ქვეყნიდან საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებს 16 ქვეყანა (ბულგარეთი, საფრანგეთი, ლიხტენშტაინი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ისლანდია, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესტონეთი, დანია, ჩეხეთი, კვიპროსი, სლოვენია, შვეიცარია და საბერძნეთი);

მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა უვიზო რეჟიმის წესების თაობაზე საქართველოს მოქალაქეების ცნობიერების გაზრდის მიზნით სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების ფარგლებში;

შედგა დისტანციური შეხვედრა უსაფრთხოების დიალოგში ქართული და ევროკავშირის დელეგაციების ხელმძღვანელებს შორის;

საქართველო რჩება ევროკავშირის სანდო პარტნიორი საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში. ქართველი სამხედროები მონაწილეობენ ევროკავშირის მისიებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და მალიში;

„ევროპოლ“-თან და „ფრონტექს“-თან გააქტიურებულ თანამშრომლობასთან ერთად, სიახლეს წარმოადგენს „ევროჯასტ“-თან გაფორმებული შეთანხმება, რომელიც პრაქტიკულ განზომილებაში გადაიზარდა და ჩვენ უკვე გვყავს ამ სააგენტოსთან მეკავშირე პროკურორი;

საქართველო კვლავ ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა „ერასმუს პლუსის“ პროგრამაში მონაწილეობის თვალსაზრისით. ბოლო 6 წლის განმავლობაში საქართველოდან განხორციელდა 4755 მობილობა - ესაა სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც ისარგებლეს „ერასმუსის“ სასწავლო პროგრამებით;

უნდა აღინიშნოს ქ. თბილისში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ევროპული სკოლის წარმატებული ფუნქციონირება, რომელმაც 2020 წელს მოსწავლეების უკვე მესამე ნაკადი მიიღო. სკოლას ჰყავს 30 პირველი კურსდამთავრებული 6 პარტნიორი ქვეყნიდან;

2020 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის ორგანიზებითა და კოორდინაციით გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის 5 თემატური ჯგუფის („დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა“; „სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკა და სამთო-მოპოვებითი საქმიანობა; ტურიზმი; კორპორაციული სამართალი და კორპორაციული მმართველობა; მომხმარებელთა პოლიტიკა; საგადასახადო პოლიტიკა“; „სოფლის მეურნეობა და სასოფლო განვითარება; მეთევზეობა და საზღვაო მმართველობა; რეგიონული განვითარება, თანამშრომლობა საზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“; ,,საინფორმაციო საზოგადოება; აუდიოვიზუალური და მედიის სფერო; მეცნიერება და ტექნოლოგიები; განათლება, ტრენინგი და ახალგაზრდობა; კულტურა, სპორტი და ფიზიკური აქტივობა“; „ენერგეტიკა, გარემო, კლიმატი, ტრანსპორტი და სამოქალაქო დაცვა“) შეხვედრა, რომლებშიც საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ შესაბამისი დარგობრივი უწყებები და სააგენტოები, ხოლო ევროკავშირის მხრიდან ევროკომისიის, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები;

გრძელდება საქართველოში მიმდინარე ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროგრამა Twinning-ის 14 მიმდინარე პროექტის კოორდინაცია. გაიმართა აღნიშნული პროექტების მმართველი კომიტეტის სხდომები. ამასთან, გაიმართა Twinning-ის 5 ახალი პროექტისთვის პარტნიორების შესარჩევი შეხვედრები და 4 ახალი პროექტის გახსნითი ღონისძიება;

ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის - „ტაიექსის“ (TAIEX) ფარგლებში, ევროკავშირის დელეგაციასა და ევროკომისიასთან თანამშრომლობით, დასრულდა მუშაობა 2020 წელს დასაფინანსებელი განაცხადების პრიორიტეტულ სიაზე. 2020 წლის ივნისის მდგომარეობით, ევროკომისიის მხრიდან დაფინანსების თაობაზე თანხმობა იქნა მიღებული საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ გაგზავნილ 17-მდე განაცხადზე;

გრძელდება შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის კოორდინაცია. დაწყებულია მუშაობა ახალი 2021 – 2027 წლების საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამაზე.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ნატო-ში მაღალი დონის ვიზიტები და კომუნიკაცია სხვადასხვა ფორმატებში, კერძოდ:

2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია ეწვია ნატო-ს შტაბ-ბინას, სადაც მან შეხვედრა გამართა ნატო-ს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესი, შავი ზღვის უსაფრთხოება, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განახლების პროცესი და რეგიონალური უსაფრთხოების თემატიკა;

საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის (2020 წლის 5 მაისი) და საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის (2020 წლის 27 მარტი) სატელეფონო საუბრები ნატო-ს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან. სატელეფონო საუბრების დროს მხარეებმა განიხილეს COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს მიერ გატარებული ზომები, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკა, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და სხვა აქტუალური თემები;

2020 წლის 14 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრი, დავით ზალკალიანი ეწვია ნატო-ს შტაბ-ბინას, სადაც მან შეხვედრა გამართა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილესთან, მირჩა ჯოანასთან და მონაწილეობა მიიღო ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაში ელჩების დონეზე;

2020 წლის 2 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა უკრაინელ კოლეგასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალის ფარგლებში გამართულ ონლაინ შეხვედრაში მოკავშირეებთან, რომელიც ეძღვნებოდა შავი ზღვის რეგიონში არსებულ ვითარებას. შეხვედრის მსვლელობისას საქართველომ და ალიანსის წევრებმა დაამტკიცეს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განახლებული დოკუმენტი, რომლის შედეგადაც პაკეტი უფრო ამბიციური გახდა და ალიანსთან პრაქტიკული თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები გახსნა. მინისტერიალის ფარგლებში დამტკიცდა ექსპერტთა ჯგუფის ანგარიში - NATO 2030: United for a New Era, რომელშიც მნიშვნელოვანი ჩანაწერებია საქართველოსთან დაკავშირებით;

2020 წლის 2 აპრილს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერის ახალი ზომების თაობაზე, (საქართველოსა და უკრაინის უფრო მეტად ჩართვა შავ ზღვაზე დაგეგმილ ნატო-სა და წევრი-ქვეყნების სწავლებებსა და წვრთნებში; ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თანამშრომლობის გაღრმავება და სხვა);

2020 წელს, მიმდინარეობდა ნაყოფიერი მუშაობა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში გაიმართა 7 სხდომა, როგორც მაღალ (მუდმივი წარმომადგენლების), ასევე სამუშაო დონეზე, რაც ადასტურებს, რომ საქართველო ნატო-ს დღის წესრიგში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი;

2020 წლის აპრილში, ქ. ფოთის პორტში გაიმართა ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) ვიზიტი და საქართველოს სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან ერთად ერთობლივი სწავლება - “PASSEX Exercise”;

საანგარიშო პერიოდში, შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს 2020 წლის რიგით მე-12 წლიური ეროვნული პროგრამა (Annual National Programme (ANP)) და შემუშავდა ANP-ის თვითშეფასების დოკუმენტი.

ამერიკის შეერთებული შტატები

2020 წლის განმავლობაში, გრძელებოდა დინამიური თანამშრომლობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის ყველა ძირითადი მიმართულებით.

საქართველოსადმი აშშ-ის ურყევი მხარდაჭერის მორიგი დემონსტრირება იყო 17-18 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, სალომე ზურაბიშვილთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, გიორგი გახარიასთან და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან, დავით ზალკალიანთან. მაიკ პომპეო ვიზიტის ფარგლებში, ასევე, შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. შეხვედრების მსვლელობისას განხილული იყო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებები და ქვეყნებს შორის არსებული მტკიცე თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები, როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე, ვაჭრობისა და ეკონომიკის, დემოკრატიის განმტკიცების, ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების, განათლებისა და კულტურული გაცვლების სფეროში. მხარეებმა, ასევე, იმსჯელეს საქართველოსა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემოს თაობაზე, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით საქართველოსა და აშშ-ს თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების შესაძლებლობებზე. ქართულმა მხარემ სახელმწიფო მდივანს მიაწოდა ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული თვალსაზრისით არსებულ რთულ ვითარებაზე. ყურადღება, ასევე, გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განმტკიცებისა და დემოკრატიული განვითარების პროცესში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

2020 წლის განმავლობაში გრძელდებოდა აქტიური თანამშრომლობა აშშ-თან თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, მათ შორის, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) წარმატებული იმპლემენტაცია და ერთობლივი სამხედრო წვრთნები.

ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, აღსანიშნავია, რომ საქართველომ, დასაქმებულთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების თვალსაზრისით მიღწეული შედეგების საფუძველზე, წარმატებით გაიარა პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისობის განხილვის პროცედურა და შეინარჩუნა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სარგებელი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია აშშ-თან ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიმართულებით.

სექტემბერში, სან ფრანცისკოში გაიხსნა საქართველოს გენერალური საკონსულო, რომლის მანდატი, სხვა მიმართულებებთან ერთად, ითვალისწინებს საქართველოსა და აშშ-ს შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას.

2020 წელს შენარჩუნდა და განმტკიცდა აშშ-ის კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოსადმი. აშშ-ის კონგრესის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილმა დაფინანსებამ 2020 წელს, 132 025 000 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ბოლო 4 წლის მანძილზე 50 მილიონიან ზრდას წარმოადგენს.

24 იანვარს, ქ. ვაშინგტონში გაიმართა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, ვახტანგ მახარობლიშვილის ხელმძღვანელობით.

4–7 თებერვალს, გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის სამუშაო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრმა აშშ–ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს მიწვევით მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების ალიანსის (IRFBA) წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში. დავით ზალკალიანმა ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა აშშ-ის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოქმედ თანაშემწესთან, ფილიპ რიკერთან. შეხვედრები გაიმართა აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის წარმომადგენლებთან, სენატორებთან ჯეიმს რიშთან (R-ID), ჯინ შაჰინთან (D-NH) და როჯერ უიკერთან (R–MS), ასევე, კონგრესმენებთან რიკ ლარსენთან (D-WA), დევიდ ნუნიესთან (R-CA), უილ ჰარდთან (R-TX), ენდრიუ ვებერთან (R-TX) და წარმომადგენელთა პალატის ასიგნებების კომიტეტის აპარატის წევრებთან. საგარეო საქმეთა მინისტრის მონაწილეობით აშშ-ის მარშალის ფონდში (GMF) მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელსაც ვაშინგტონში მომუშავე ექსპერტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

6-9 თებერვალს, ქ. ვაშინგტონში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის ვიზიტი გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ შეკრებაში "The National Prayer Breakfast" მიიღო მონაწილეობა. მაღალი დონის შეხვედრები გაიმართა, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, მათ შორის, საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე ადამ კინზინგერთან, წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიის პარტნიორობის (HDP) თავმჯდომარესთან, დეივიდ პრაისსა და სენატორ რიკ სკოტთან. შეხვედრები, ასევე, გაიმართა სახელმწიფო მდივნის მოქმედ თანაშემწესთან, ფილიპ რიკერთან და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის თანაშემწესთან, ბროკ ბირმანთან.

9-12 მარტს, ქ. ვაშინგტონში საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი ბერაიას ვიზიტი გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში იგი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პრეზიდენტს, ენტონი ბენბერის შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა, ასევე, აშშ-ის კონგრესში, როგორც კონგრესმენებთან, მათ შორის, ტედ იოჰოსა და ენდი ჰარისთან, ასევე, წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ჰელსინკის კომისიის აპარატის წევრებთან.

20 აგვისტოს, 9 სექტემბერს, გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის სატელეფონო საუბრები აშშ-ის სენატორ კრის ვან ჰოლენთან, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ელიოტ ენგელსა და კომიტეტის წევრ მაიკლ მაქქოლთან. სატელეფონო საუბრისას მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და მათი გაღრმავების პერსპექტივები და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული უმძიმესი ჰუმანიტარული და უსაფრთხოების მდგომარეობა.

16 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ხელშეწყობის რიგით მესამე მინისტერიალში (2020 Ministerial to Advance Freedom of Religion or Belief), რომელიც აშშ-თან თანამშრომლობით პოლონეთის ორგანიზებით ვირტუალურ ფორმატში გაიმართა. კონფერენციის გახსნით ნაწილში აუდიტორიას სიტყვით მიმართეს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ზბიგნიევ რაუმ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ. მინისტერიალის მონაწილეებს, ასევე, სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა.

17 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების ან რწმენის ალიანსის (International Religious Freedom or Belief Allaince, IRFBA) წევრი საგარეო საქმეთა მინისტრების ფორუმში. ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს გამოსვლით გაიხსნა. შეხვედრის მონაწილეებმა მსოფლიოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები და ალიანსის სამომავლო პრიორიტეტები განიხილეს. ალიანსის მინისტერიალის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა.

30 ნოემბერს, ხელი მოეწერა ოქმს „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების გაგრძელებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ევროპის ქვეყნები

გლობალური პანდემიის მიუხედავად, წარმატებით გაგრძელდა მუშაობა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების მიმართულებით. გაიმართა პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის სატელეფონო საუბრები თუ ვიდეო-შეხვედრები უმეტეს ევროპელ კოლეგებთან. ამასთან, ვირტუალურ ფორმატში შედგა პოლიტიკური კონსულტაციები მინისტრის მოადგილეების დონეზე.

განხორციელდა მაღალი დონის ვიზიტები, კერძოდ:

2020 წლის იანვარში, საქართველოს ეწვია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი სტეფ ბლოკი, რაც ნიდერლანდების საგარეო უწყების ხელმძღვანელის პირველი ორმხრივი ვიზიტი იყო 10-წლიანი პაუზის შემდეგ;

1-2 ოქტომბერს საქართველოს ეწვია შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ან ლინდე, რომელმაც ვიზიტის ფარგლებში მოინახულა საოკუპაციო ხაზი;

2020 წლის 6 ივლისს, საქართველოს, პირველი ოფიციალური ვიზიტით, ეწვია უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი, პიტერ სიიარტო;

2 დეკემბერს გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის ვიზიტი ვარშავაში;

გერმანიასთან ურთიერთობებში მნიშვნელოვანი იყო ქართულ-გერმანული ფორუმის დაფუძნება (26 ოქტომბერს გერმანიის ბუნდესტაგში ჩაეყარა საფუძველი). ფორუმის მიზანია ორ ქვეყანას შორის არსებული ტრადიციულად კარგი ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება და გაფართოება, გერმანიის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერება;

რეგულარულ პლატფორმად ჩამოყალიბდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქართულ-გერმანულ-ფრანგული პოლიტიკური სამკუთხედი, რომლის ფარგლებში კონსულტაციების მორიგი რაუნდი, გერმანიის მასპინძლობით, ვირტუალურ ფორმატში, 8 ივლისს შედგა;

მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა გაერთიანებულ სამეფოსთან. 9 სექტემბერს, ვირტუალურ ფორმატში ჩატარდა „უორდროპის სტრატეგიული დიალოგი“ ორი ქვეყნის საგარეო უწყების მინისტრების თავმჯდომარეობითა და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობით. შედეგად, მიღებულ იქნა ერთობლივი კომუნიკე კიბერ-უსაფრთხოების მიმართულებით;

დინამიურად გაგრძელდა ურთიერთობები ირლანდიასთან. 2020 წლის 10 დეკემბერს ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა და თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტის სხდომაზე წარიმართა მსჯელობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებასა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე;

ავსტრიასთან შედგა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების მორიგი რაუნდი, ხოლო მათ პარალელურად, თბილისში გამართულ ავსტრიის რეგიონული ამბასადორიალის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და დისკუსია გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა. საგარეო უწყების აქტიური მხარდაჭერით, მიმოქცევაში ჩაეშვა ავსტრიელი მწერლის, პაციფისტისა და მშვიდობის განმტკიცების დარგში ნობელის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის, ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის საფოსტო მარკა, როგორც ორ ქვეყანას შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის ნიშანი;

შვეიცარიულ მხარესთან, ვირტუალურ ფორმატში, შედგა კონსულტაციები ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების საკითხზე, მინისტრის მოადგილეების დონეზე;

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ბელგიელ კოლეგასთან;

შედგა მინისტრის პირველი მოადგილის სატელეფონო საუბარი იტალიელ კოლეგასთან;

საქართველოსა და პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პორტუგალია ევროკავშირის მომავალი პრეზიდენტი ქვეყანაა;

საქართველოსა და რუმინეთს შორის მინისტრის მოადგილეების დონეზე გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები;

ბალტიის ქვეყნების მხრიდან, კვლავ გაგრძელდა საერთაშორისო არენაზე საქართველოს აქტიური მხარდაჭერა და გაკეთდა არაერთი მხარდამჭერი განცხადება. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ესტონეთის, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის აქტიური ჩართულობა საქართველოსთვის მნიშვნელოვან თემებზე.

მეზობელი ქვეყნები

საანგარიშო პერიოდი გამოირჩეოდა მეზობელი ქვეყნების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გააქტიურებით, გამოვლინდა ახალი საფრთხეები და გამოწვევები, ასევე წარიმართა აქტიური მუშაობა საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

2020 წლის განმავლობაში, მეზობელ ქვეყნებთან ორმხრივი ვიზიტები გაიმართა წლის პირველ კვარტალში. შემდგომ, ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, ორმხრივი ურთიერთობები ძირითადად მიმდინარეობდა ონლაინ ვიდეო შეხვედრებისა და სატელეფონო საუბრების ფორმატებში.

ქ. დავოსში (22,01,2020) გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის შეხვედრა;

შედგა აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ზაქირ ჰასანოვის ვიზიტი საქართველოში (16,01,2020). ხოლო საქართველოს მხრიდან თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ქ. ბაქოში (7-9,03,2020);

გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის მიხეილ ჯაბაროვის ვიზიტი საქართველოში (9-10,02,2020);

ვიდეო-ზარის ფორმატში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან (15,04,2020);

გაიმართა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების თავმჯდომარეთა მორიგი სამმხრივი შეხვედრა ონლაინ რეჟიმში (12,05,2020);

გაიმართა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეიჰუნ ბაირამოვის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში (24,09,2020). ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ჯეიჰუნ ბაირამოვის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან სალომე ზურაბიშვილთან, პრემიერ-მინისტრთან გიორგი გახარიასთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკალიანთან და პარლამენტის ვიცე-სპიკერთან კახაბერ კუჭავასთან;

გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ლაშა დარსალიას სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში (24-25,01,2020);

გაიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სამუშაო ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში (27-28,02,2020). აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ,,2020 წლის თანამშრომლობის პროგრამას საქართველო-სომხეთის რესპუბლიკას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“;

საქართველოს სამუშაო ვიზიტით ეწვია სომხეთის რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი არტაკ დავთიანი (19-20,02,2020);

გაიმართა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მმართველობისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის სურენ პაპიკიანის სამუშაო ვიზიტი საქართველოში (11-12,02,2020);

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სომხეთის პრეზიდენტს არმენ სარგსიანს ვიდეოზარის საშუალებით ესაუბრა (15.04.2020);

საქართველოს პრეზიდენტსა და თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ თაიფ ერდოღანს შორის გაიმართა სატელეფონო საუბარი (16.04.2020).

აზია-ოკეანეთი

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას. საქართველოს, ტრადიციულად აქტიური ურთიერთობები აქვს რეგიონის წამყვანი ეკონომიკების მქონე ქვეყნებთან: ჩინეთი, კორეის რესპუბლიკა, იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ინდოეთი. ასევე, საქართველოს უკვე მრავალწლიან ტრადიციებზე დაფუძნებული ურთიერთობები აქვს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობების განვითარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მზარდი ეკონომიკების მქონე ქვეყნებთან: სინგაპური, ტაილანდი, ინდონეზია, მალაიზია და ფილიპინები.

2020 წლის განმავლობაში, გლობალური პანდემიის მიუხედავად, ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა აღნიშნული რეგიონის ქვეყნებთან.

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამართა 3 პოლიტიკური კონსულტაცია შემდეგი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან: უზბეკეთი (10 სექტემბერი), თურქმენეთი (9 ოქტომბერი) და ინდოეთი (8 დეკემბერი, მორიგი რაუნდი).

- 12 თებერვალს - გაიმართა გაეროს საკითხებში იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენლის ბ-ნი სეიიჩი კონდოს ვიზიტი საქართველოში;

- 14 თებერვალს - მიუნხენის საერთაშორისო უსაფრთხოების 56-ე საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან სუბრაჰმანიამ ჯაიშანკართან;

- 17-19 თებერვალს - შედგა მალაიზიის პარლამენტის სპიკერის, ტან სრი დატო მოჰამად არიფ მდ იუსოფის და მალაიზიის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი საქართველოში;

- 1 აპრილს - საქართველოსა და თურქმენეთის მხარეებს შორის გაიმართა ვიდეოკონფერენცია, თურქმენეთის მიერ ფოთის ნავსადგურის საპორტო შესაძლებლობების გამოყენების, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და ასევე, „შავი ზღვა - კასპიის ზღვა“ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის აქტივიზაციის საკითებზე;

- 18 მაისს - გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის სატელეფონო საუბარი ყირგიზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჩინგიზ აიდარბეკოვთან;

- 21 მაისს - გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის სატელეფონო საუბარი კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, მუნ ჯე ინთან;

- 21 მაისს - გაიმართა საქართველოსა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების სატელეფონო საუბარი;

- 26 მაისს - იაპონიაში საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, მუშაობა დაიწყო იაპონურ ენაზე შექმნილმა ვებ-გვერდმა www.letsgogeogria.com, რომელიც იაპონიის მოსახლეობას ქართულ კულტურასა და საქართველოს ტურისტულ პოტენციალს გააცნობს;

- ივნისის დასაწყისში - დისტანციურად ხელმოწერილ იქნა საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი;

- 3 ივნისს – შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილსა და ინდოეთის პრეზიდენტს რამ ნათ კოვინდს შორის;

- 16 ივლისიდან - ჩინეთში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მსხვილ ჩინურენოვან სოციალურ ქსელ Weibo-ზე ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს საელჩოს ოფიციალურმა გვერდმა;

- 7 სექტემბერს - ვიდეო კონფერენციის ფორმატში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის შეხვედრა თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, რაშიდ მერედოვთან;

- ოქტომბრის დასაწყისში - ინდოეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივით და ხელშეწყობით, პირველად ინდურ (ჰინდი) ენაზე ითარგმნა და გამოიცა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ინდოელ პოეტს, მთარგმნელს დოქტ. ბჰუპინდერ აზიზ პარიჰარს;

- 9 ნოემბერს - გაიმართა რიგით მეორე კონსულტაციები საქართველოს და კორეის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე შესაძლო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით მიზანშეწონილობის (Feasibility Study) კვლევის დაწყების თაობაზე;

- 9 ნოემბერს - ხელი მოეწერა „საქართველოსა და მალაიზიას შორის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტისა და ველური ბუნების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმს“;

- 11 ნოემბერს - გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის სატელეფონო საუბარი ტაჯიკეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან, სიროჯიდინ მუხრიდინთან;

- 1 დეკემბერს - შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანსა და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ - კანგ კუნგ ჰვა-ს შორის;

- 2020 წელს - ოფიციალურად ამოქმედდა ქ. ბანგკოკში საქართველოს საპატიო საკონსულო;

- 2020 წელს - საქართველოში გამოიცა მაჰატმა განდის დაბადებიდან 150 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამახსოვრო საფოსტო მარკა.

ახლო აღმოსავლეთი-აფრიკა

2020 წელს ახალი კორონვირუსის გლობალურმა პანდემიამ ზეგავლენა იქონია საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკასა და ინტენსივობაზე, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის და აფრიკის ქვეყნებთან მიმართებაში. სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი ძალისხმევის კოორდინაცია. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, მნიშვნელოვანი იყო ორმხრივი ურთიერთობების განვითარება ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებთან, მათ შორის თანამშრომლობის გაღრმავება პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის კავშირების კუთხით, ასევე საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების, საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება აფრიკის კონტინენტის ქვეყნებთან.

- ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე შემუშავდა და საბჭოს სამდივნომ შემოგვთავაზა GCC-საქართველოს 2020-2024 წლების ერთობლივი სამოქმედო გეგმის პროექტი. გაგრძელდება GCC-ს სამდივნოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებაზე მუშაობასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც სამდივნოს მხრიდან შესწავლის სტადიაშია (Feasibility study);

- მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ისრაელთან ცირკულარული მიგრაციის მიმართულებით. 30 სექტემბერს ქ. იერუსალიმში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს შორის ისრაელის სახელწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ“. გრძელდებოდა მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებათა დაწყების შესახებ ერთობლივი დეკლარაციის გაფორმებაზე;

- სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით, 2020 წელს გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სატელეფონო საუბრები საუდის არაბეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრთან. 17 სექტემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრი გიორგი გახარია შეხვდა საუდის არაბეთის ტურიზმის მინისტრს, რომელიც საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა UNWTO - აღმასრულებელი საბჭოს 112-ე სხდომაში მონაწილეობის მისაღებად;

- 2020 წელს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატებს შორის;

- 1-3 მარტს, საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის და ბიზნესგარემოს გაცნობის მიზნით, საქართველოს დელეგაცია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ხელმძღვანელობით სამუშაო ვიზიტით კატარის სახელმწიფოს ეწვია;

- 2020 წლის 23-24 ნოემბერს ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო ავღანეთის მთავრობის, ფინეთის მთავრობის და გაეროს მიერ ერთობლივად ორგანიზებულ დონორთა კონფერენციაში, რომლის მიზანიც იყო სტაბილურობა და განვითარების უზრუნველყოფა ავღანეთში.

ყოველწლიურად იზრდება დაინტერესება საქართველოს წარმატებული დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გამოცდილების გაზიარების სფეროში აფრიკის კონტინენტის ქვეყნების მხრიდან. ამ მხრივ საყურადღებოა ბოცვანას, სანტომე და პრინსიპის, მალავის და ესვატინის, მოზამბიკის მზარდი ინტერესი ჩვენი რეფორმების საუკეთესო გამოცდილების მიმართ, რისთვისაც აუცილებელია კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და კონკრეტული წინადადებების შეთავაზება 2021 წლისთვის ურთიერთსასარგებლო დღის წესრიგის შესაქმნელად.

კანადა, ლათინური ამერიკა, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანადასთან, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

- 24 იანვარს, ხელი მოეწერა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მექსიკის მორელოსის შტატის ავტონომიურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნებს შორის საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობისა და აკადემიური კონტაქტების გაძლიერების პროცესში;

- 11 თებერვალს, ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, ქ. ვენაში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლაშა დარსალიამ შეხვედრა გამართა პანამის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ფედერიკო ალფარო ბოიდთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ქვეყნებს შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის მნიშვნელოვანი საკითხები;

- 21 თებერვალს, საქართველოში კანადის ახალდანიშნულმა ელჩმა (რეზიდენციით ქ. ანკარა), ჯამალ ქოქარმა რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, ვახტანგ მახარობლიშვილს;

- 20 აგვისტოს, გაიმართა შეხვედრა ჰონდურასის რესპუბლიკის პრეზიდენტის პრიორიტეტებისა და საჯარო ინოვაციების სამინისტროს წარმომადგენლებთან ონლაინ ფორმატში, საქართველოს წარმატებული რეფორმებისა და ელექტრონული მმართველობის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით;

- 24 სექტემბერს, გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის სატელეფონო საუბარი კანადის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ფრანსუა-ფილიპ შამპანთან;

- 21 ოქტომბერს, საქართველოსა და პერუს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციების მესამე რაუნდი;

- 12 ნოემბერს, საქართველომ, როგორც ალიანსის დამკვირვებელმა ქვეყანამ, მონაწილეობა მიიღო წყნარი ოკეანეთის ალიანსის (Pacific Alliance) წევრი და დამკვირვებელი ქვეყნების წარმომადგენლების თანამშრომლობის რიგით მეორე ფორუმში;
-
- 23 ნოემბერს, ხელი მოეწერა შეთანხმებებს „საქართველოს მთავრობასა და გრენადას მთავრობას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელთა ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და გრენადას მთავრობას შორის დიპლომატიური, ოფიციალური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთა ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად აგრძელებდა მუშაობას **მრავალმხრივი დიპლომატიის** მიმართულებით.

გაერო

- 2020 წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად გამოიყენებოდა უშიშროების საბჭოს, გენერალური ასამბლეის და მისი ძირითადი კომიტეტების და ადამიანის უფლებათა საბჭოს ფორმატები საქართველოსათვის აქტუალური საკითხების წამოწევისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. აღნიშნულ ფორმატებში 2020 წელს გაკეთდა 50-ზე მეტი განცხადება;

- 2020 წლის 21 აპრილს სატელეფონო საუბარი შედგა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსა და გაერო-ს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტიერეშს შორის, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა საოკუპაციო ხაზზე ოკუპანტების მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავებების და სხვა უკანონო დარღვევების გაზრდილი მაჩვენებელი, ცეცხლის შეწყვეტის მოწოდების დარღვევები და ასევე კოვიდ-პანდემიის მართვასთან დაკავშირებული საკითხები;

- 2020 წლის 24 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი გაერო-ს გენერალურ მდივანს, ანტონიო გუტიერეშს შეხვდა. შეხვედრა ჟენევაში, გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოს მაღალი დონის სეგმენტის 43-ე სესიის ფარგლებში შედგა;

- ქართულმა მხარემ გამართა 3 შეხვედრა გაერო-ს ადამიანის უფლებებისა და ლტოლვილთა უმაღლეს კომისრებთან.

- საქართველოს დელეგაცია აქტიურად მონაწილეობდა წლის მანძილზე მდგრადი განვითარების დღის წესრიგის თემაზე, გაერო-ში გამართულ სამიტებსა და მინისტრების დონის შეხვედრებში.

- 2020 წლის 13 ივლისს, გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) ეგიდით გამართულ, ვირტუალური სახის მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმის (HLPF) ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლაშა დარსალიამ წარადგინა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) განხორციელების კუთხით, ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვის (VNR) ანგარიში;

- მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგის განხორციელებისა და მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის ხელშეწყობის კუთხით, საქართველოს გამოცდილების საერთაშორისო თანამეგობრობისთვის გაზიარების მიზნით, საქართველოს მიერ 2020 წელს, ჯამში, ორგანიზებულ/თანაორგანიზებულ იქნა 4 პარალელური ღონისძიება;

- საქართველო აგრძელებს გლობალურ დონეზე მდგრადი განვითარების მე-16 მიზნის (“SDG 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მართლმსაჯულებასთან წვდომის უზრუნველყოფა ყველასთვის და ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე”) შესრულების მნიშვნელობის პოპულარიზაციასა და ხელშეწყობას სხვადასხვა გლობალურ ინიციატივებში აქტიური ჩართულობის, მაღალი დონის ღონისძიებების თანაორგანიზებისა და მათში აქტიური მონაწილეობის გზით;

- 12-13 თებერვალს ბუქარესტში, გაიმართა „დემოკრატიათა თანამეგობრობის“ მმართველი საბჭოს 31-ე შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ;

- 2020 წლის 26 ივნისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ლაშა დარსალია სიტყვით წარსდგა მთავრობათაშორისი კოალიციის - „დემოკრატიათა თანამეგობრობა“ მიერ ორგანიზებულ, მინისტრთა დონის კონფერენციაში, რომელიც ვარშავის დეკლარაციის ხელმოწერისა და თანამეგობრობის დაარსების 20 წლის იუბილეს მიეძღვნა და ვირტუალურ ფორმატში გაიმართა;

- ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში, საქართველომ, კანადასთან, ურუგვაისთან, ფიჯისთან და შვედეთთან ერთად, ლიდერობა აიღო ჰუმანიტარულ კონტექსტში ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვის თემაზე და წარდგენილ იქნა პირველი ე.წ. ტექნიკური ხასიათის რეზოლუცია - “Promoting, protecting and respecting women's and girls' full enjoyment of human rights in humanitarian situations”;

- გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, კახა იმნაძე, ბენინელ კოლეგასთან ერთად, ხელმძღვანელობდა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) გაძლიერების და მაღალი დონის პოლიტიკური ფორუმის (HLPF) განხილვის პროცესს;

- 11 აგვისტოს საქართველო გაწევრიანდა ნიუ-იორკში გაეროსთან მუდმივი წარმომადგენლობების დონეზე ჩამოყალიბებულ რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ძალადობის მსხვერპლთა მეგობართა ჯგუფში;

- 7 დეკემბერს საქართველო გაწევრიანდა ნიუ-იორკში გაეროსთან მუდმივი წარმომადგენლობების დონეზე ჩამოყალიბებულ ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მეგობართა ჯგუფში.

ეუთო

- 30 იანვარს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის რანგში, ვენაში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გამართა ეუთოს ალბანეთის თავმჯდომარეობის წარმომადგენლებთან, ეუთოს გენერალურ მდივანთან და მეგობართა ჯგუფის წევრებთან. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, ეუთოს ფარგლებში არსებული თანამშრომლობა, ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და საქართველოს მთავრობის მიერ წარმატებით განხორციელებული რეფორმები;

- 4-5 თებერვალს ტირანაში ეუთოს მოქმედი ალბანეთის თავმჯდომარეობის ორგანიზებითა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მხარდაჭერით გაიმართა მაღალი დონის კონფერენცია ეუთოს რეგიონში ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ;

- 2020 წლის 23-25 ივნისს საქართველოს დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლაშა დარსალიას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ვენაში გამართულ უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვის ეუთოს ყოველწლიურ კონფერენციაში (ASRC);

- 2020 წლის 4 აგვისტოს გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლაშა დარსალიას შეხვედრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის საჭიროების შემფასებელ მისიასთან (OSCE/ODIHR NAM). 2020 წლის 25 სექტემბერს გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ხვთისიაშვილის შეხვედრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის ძირითადი ჯგუფის ხელმძღვანელთან;

- 2020 წლის 18-19 ნოემბერს ვიდეო-კონფერენციის რეჟიმში გაიმართა მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის მიერ ორგანიზებული სამხრეთ კავკასიის მე-17 მედია კონფერენცია. ქართული მხრიდან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - ლაშა დარსალიამ;

- 2020 წლის 3-4 დეკემბერს ტირანაში ონლაინ-ფორმატში გაიმართა ეუთოს მინისტრთა საბჭოს რიგით 27-ე შეხვედრა. მინისტერიალის ფარგლებში საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა სიტყვით მიმართა სესიის მონაწილეებს;

- 2020 წლის 3 დეკემბერს ეუთო-ს 27-ე საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სესიის ფარგლებში გაიმართა პარალელური ღონისძიება - „საერთაშორისო რეაგირება ყირიმის ოკუპაციაზე: შემდგომი ნაბიჯები“. ღონისძიებაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლაშა დარსალიამ.

ახალი საფრთხეების და შეიარაღების კონტროლი

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა „ღია ცის“ ხელშეკრულების ფარგლებში 2021 წლის სადამკვირვებლო ფრენების კვოტების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე. პარტნიორ სახელმწიფოებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, 2021 წლის სადამკვირვებლო ფრენებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროექტზე შეთანხმება მოხერხდა.

2020 წლის განმავლობაში საქართველო აქტიურად მონაწილეობდა ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის წევრი ქვეყნების შეხვედრებში, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ჯგუფის, ეროვნული პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელთა მე-19 რეგიონულ, ელექტრონულ შეხვედრაში, ასევე ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის წევრი ქვეყნების, კონვენციის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი ეროვნული ორგანოების წარმომადგენელთა ყოველწლიური, 22-ე (ელექტრონული) შეხვედრისა და ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის წევრი ქვეყნების ყოველწლიურ 25-ე კონფერენციის საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების განხილვაში.

ბიოლოგიური უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში, საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ჟენევის ოფისის, განიარაღების საკითხთა სამსახურის ბიოლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციის იმპლემენტაციის მხარდაჭერის განყოფილებასთან.

ბიოლოგიური უსაფრთხოებისა და დაცულობის მიმართულებით აღსანიშნავია, აგრეთვე შემდეგი ღონისძიებები:

- 2020 წლის 29-30 იანვარს, ჟენევაში გაიმართა გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმების (NPT) გადასახედი კონფერენციის მოსამზადებელი შეხვედრა, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა შეთანხმების პირველი სვეტი - განიარაღება;

- 2020 წლის 15 ივნისს გაიმართა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მმართველთა საბჭოს სხდომა. საქართველოს მისიის წარმომადგენელმა გააკეთა შესაბამისი განცხადება;

- 2020 წლის 21-25 სექტემბერს გაიმართა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოველწლიური გენერალური კონფერენცია. ღონისძიების ფარგლებში საქართველომ ეროვნული განცხადება გააკეთა;

- 2020 წლის 26 ნოემბერს ქართულ მხარესა და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ახალ, ჩარჩო-დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსა და საქართველოს შორის 2020-2025 წლებისთვის თანამშრომლობის პროგრამას;

- 2020 წლის 2 დეკემბერს, შეერთებული შტატების სპონსორობით გაიმართა ვირტუალური ღონისძიება, სახელწოდებით - „რადიოლოგიური წყაროების გატაცებაზე რეაგირების აქტივები (რესურსები)“. ღონისძიებაში შესაბამისი პრეზენტაციით ქართული მხარეც წარსდგა;

- 2020 წლის 30 ივნისს გაიმართა დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური პარტნიორობის სამუშაო ჯგუფის პირველი ელექტრონული პლენარული სესია (ონლაინ რეჟიმში), ამერიკის შეერთებული შტატების თავმჯდომარეობით. საქართველოს მხარე გამოვიდა შესაბამისი განცხადებით;

- 2020 წლის 3 სექტემბერს, გაიმართა გლობალური პარტნიორობის ქიმიური უსაფრთხოების სამუშაო ქვეჯგუფის მესამე ვებინარი, რომელზეც განხილულ იქნა წევრ ქვეყანათა მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები, მათ შორის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი ქიმიური უსაფრთხოების სფეროში - “Institutional Capacity Building for Sound Management of Chemicals in Georgia”;

- 2020 წლის 3-4 ივნისს, გაიმართა ეუთოს სტრუქტურირებული დიალოგის შეხვედრა (ონლაინ-რეჟიმში), რომელიც ეთმობოდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში სამხედრო საფრთხეების ერთიანი აღქმის და ნდობის აღდგენისთვის გამჭვირვალობის მნიშვნელობას. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ განცხადება გააკეთა ჰიბრიდული საფრთხეებისადმი მიძღვნილ პანელზე. განცხადებაში ყურადღება გამახვილდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელებულ კიბერ-შეტევებზე, რომელიც რუსეთის ჰიბრიდული ბრძოლის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს;

- 2020 წლის 3 ივნისს, 17 ივნისს, 1 ივლისს, 8 ივლის, 22 ივლისს, 9 სექტემბერს, 16 სექტემბერს, 23 სექტემბერს და 30 სექტემბერს, ვენაში, ეუთოს უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმის სხდომებში მონაწილეობდნენ ვენაში საქართველოს მისიის წარმომადგენლები, რომლებზეც გაკეთდა შესაბამისი განცხადებები. მათ შორის, 22 ივლისის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებაში საქართველოს წარმომადგენელმა დაგმო რუსეთის ფედერაციის მიერ 2020 წლის 17-21 ივლისს წარმოებული სამხედრო წვრთნები სამხრეთ და დასავლეთის სამხედრო ოლქების ჯარების მონაწილეობით. ასევე აღსანიშნავია 23 სექტემბერს გამართული ეუთოს უსაფრთხოებისთვის თანამშრომლობის ფორუმის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს წარმომადგენელმა. გაკეთებულ განცხადებაში საქართველოს წარმომადგენელმა დაგმო რუსეთის ფედერაციის მიერ 2020 წლის 21-26 სექტემბერს წარმოებული სამხედრო წვრთნები - „კავკასია 2020“;

- 2020 წლის 23-25 ივნისს, გაიმართა ეუთოს უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვის ყოველწლიური კონფერენცია - ASRC (ონლაინ რეჟიმში), რომელზეც ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს საშულება აქვთ გაცვალონ მოსაზრებები ეუთოს პოლიტიკურ-სამხედრო განზომილებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. კონფერენციის ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა სესიებზე შესაბამისი განცხადებები გააკეთეს;

- 2020 წლის 6 ივლისს გაიმართა ღია ცის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების კონფერენცია (ონლაინ რეჟიმში), რომელიც მიეძღვნა აშშ-ის გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დატოვების შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის წარმომადგენლები. კონფერენციის ფარგლებში განცხადება გააკეთა ქართულმა მხარემ, რომელშიც აღნიშნული იყო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელობა და ამ კონტექსტში რუსეთის მხრიდან შესაბამისი მექანიზმების, მათ შორის ღია ცის ხელშეკრულების სისტემატური დარღვევის ფაქტები (მათ შორის, საქართველოსთან მიმართებაში);

- 2020 წლის 25 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ ორგანიზებულ საქართველოს კიბერ-უსაფრთხოების ფორუმში. საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგმო რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული კიბერ-შეტევები და ხაზი გაუსვა კიბერ-უსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო გაერთიანებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას;

- 2020 წლის თებერვალ-მარტში ეუთოს, გაეროსა და ევროპის საბჭოს ფარგლებში, ქართული მხარის ინიციატივით, გასული წლის ოქტომბერში საქართველოში განხორციელებულ ფართომასშტაბიან კიბერ-შეტევაზე იმსჯელეს. ქართულმა მხარემ ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული თავდასხმისა და მასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების შედეგების თაობაზე, რომელმაც დაადგინა, რომ კიბერ-შეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს მიერ;

- 2020 წელს ქვეყნდებოდა ყოველწლიური ეროვნული ანგარიშები ახალი საფრთხეებისა და შეიარაღების კონტროლზე.

ევროპის საბჭო

გლობალური პანდემიის მიუხედავად, საქართველომ შეძლო და წარმატებით გაართვა თავი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობას და დატოვა მნიშვნელოვანი პოზიტიური კვალი ორგანიზაციის საქმიანობაში.

თავმჯდომარეობის პერიოდში გაიმართა მაღალი დონის ღონისძიებები და მიღებულ იქნა არა ერთი დოკუმენტი;

მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით;

მიღებული იქნა ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის სექტორის სტრატეგია 2030;

დასრულდა მუშაობა წევრი ქვეყნის მხრიდან ორგანიზაციის საწესდებო ვალდებულებების უხეში დარღვევის საპასუხოდ მინისტრთა კომიტეტსა და საპარლამენტო ასამბლეას შორის დამატებით პროცედურაზე;

საქართველოს თავმჯდომარეობის ერთ-ერთი პრიორიტეტის - „ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა“ ფარგლებში, მიღებულ იქნა საქართველოს, საბერძნეთისა და გერმანიის (მომავალი თავმჯდომარე ქვეყნები) ერთობლივი დეკლარაცია ადამიანის უფლებებსა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით;

თავმჯდომარეობის პრიორიტეტების ფარგლებში 2020 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მაღალი დონის კონფერენცია/მრგვალი მაგიდა, მათ შორის რამდენიმე მათგანი გაიმართა ონლაინ ფორმატში. 2020 წელს გამართული ღონისძიებები:

სტრასბურგში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, გაიმართა მინისტრთა მოადგილეების აზრთა გაზიარება თემაზე „ახალგაზრდობის ჩართულობით დემოკრატიის გაძლიერება ევროპის საბჭოში და მის წევრ ქვეყნებში“;

სტრასბურგში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საქართველოს თავმჯდომარეობის ეგიდით გაიმართა მაღალი დონის კონფერენცია - „გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებები“, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია;

ონლაინ ფორმატში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია – „სამოქალაქო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“. კონფერენციის დასასრულს მიღებულ იქნა დასკვნები;

ონლაინ ფორმატში გაიმართა საქართველოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის ერთ–ერთი პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი მრგვალი მაგიდა - „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“. კონფერენციის დასასრულს მიღებულ იქნა დასკვნები;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში განხორციელდა არაერთი მაღალი დონის ოფიციალური ვიზიტი/სიტყვით მიმართვა;

მოქმედი თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე და წარადგინა საანგარიშო პერიოდში მინისტრთა კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;

საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას;

მოქმედმა თავმჯდომარემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მონაწილეობა მიღო ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაში;

საქართველო გახდა ევროპის საბჭოს ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის თანამშრომლობის ჯგუფის (Pompidou Group) წევრი;

საქართველოს თავმჯდომარეობის 6 თვის განმავლობაში, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი საჯარო განცხადებებით რეგულარულად ეხმაურებოდა მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს. საერთო ჯამში, გაკეთდა 8 განცხადება.

გამართული შეხვედრები/სხდომები

- საანგარიშო პერიოდში შედგა ევროპის საბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის დელეგაციის ორი ვიზიტი (2020 წლის 3-4 თებერვალს და 14-16 სექტემბერს) საქართველოში, რომლის მიზანს წარმოადგენდა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 21-ე და 22-ე კონსოლიდირებული ანგარიშების - „კონფლიქტი საქართველოში“ მომზადება;

- 22-25 თებერვალს ევროპის საბჭოს რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა კონგრესის პრეზიდენტი, ანდრეს კნაპე ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს;

- 22 აპრილს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 21-ე კონსოლიდირებული ანგარიში - „კონფლიქტი საქართველოში“. საქართველოს თავმჯდომარეობის ძალისხმევით, აღნიშნული შეხვედრა გაიმართა ვიდეო-კონფერენციის ფორმატში;

- 10 ივნისს გაიმართა ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების სხდომა, რომელზეც საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, მათ შორის ბოლო პერიოდის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ გახშირებული პროვოკაციების შესახებ;

- 17 ივნისს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა დაამტკიცა საქართველოს მიერ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო-კონვენციის (FCNM) შესრულებაზე მესამე რეზოლუცია;

- 21 ოქტომბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო მორიგი, მეშვიდე გადაწყვეტილება - „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“. წინა გადაწყვეტილებების მსგავსად, მიღებულ დოკუმენტში, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ყურადღება გამახვილდა რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებზე, როგორც ქვეყნისა, რომელიც ახორციელებს ეფექტურ კონტროლს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

- 4 ნოემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში, საბერძნეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში გაიმართა ევროპის საბჭოს 130-ე მინისტერიალი, ვიდეო-კონფერენციის ფორმატში. დღის წესრიგის საკითხის - „ევროპის საბჭოს როლი ევროპაში არსებულ კრიზისებთან და კონფლიქტებთან დაკავშირებით“ ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ, რომლებიც ეხება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ რთულ ვითარებას. ასევე, მინისტერიალის დოკუმენტში ხაზგასმულია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება - „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“. მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა ისაუბრა ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული აქტუალური საკითხების შესახებ, განსაკუთრებით ეპიდემიოლოგიური კრიზისის კონტექსტში. მან ყურადღება გაამახვილა, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე;

- 25 ნოემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების სხდომაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის 22-ე კონსოლიდირებული ანგარიში - „კონფლიქტი საქართველოში“. COVID-19-ის გავრცელების პრევენციიდან გამომდინარე, სხდომა ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა, რომელშიც ვიდეო-ჩართვის საშუალებით მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლაშა დარსალიამ. მინისტრის მოადგილემ მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების ოკუპაციასა და ადგილზე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მძიმე ვითარებაზე. კონსოლიდირებული ანგარიშის - „კონფლიქტი საქართველოში“ განხილვისას საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გავრცელდა ევროკავშირის და სუამ-ის სახელით.

საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს კანდიდატურების მხარდაჭერა

- 2020 წლის 24 ნოემბერს, ნიუ-იორკში, ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენციის წევრი ქვეყნების მე-18 შეხვედრის ფარგლებში გამართულ არჩევნებში, საქართველოს კანდიდატი, ქალბატონი სოფიო კილაძე, ბავშვის უფლებათა კომიტეტის (CRC) წევრად იქნა არჩეული, 2021-2025 წლების ვადით. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მიერ წარდგენილი კანდიდატი ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრი გახდა. საქართველოსთან ერთად, კომიტეტში არსებულ 9 ვაკანტურ ადგილზე 14 კანდიდატი იყო წარდგენილი. არჩევნების შედეგად, კომიტეტის წევრებად შემდეგი ქვეყნების მიერ წარდგენილი ექსპერტები იქნენ არჩეულნი: საქართველო, ბულგარეთი, იაპონია, ბელგია, ურუგვაი, ეთიოპია, სამხრეთ აფრიკა, ბუტანი და ჩადი;

- 2020 წლის 18 დეკემბერს, რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის მე-19 სესიის ფარგლებში, ქ. ნიუ-იორკში გამართულ არჩევნებში, საქართველოს კანდიდატი გოჩა ლორთქიფანიძე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მოსამართლედ იქნა არჩეული, 2021-2030 წლების ვადით;

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამი

2020 წელს გაიმართა სუამ-ის წევრი ქვეყნების ეროვნული კოორდინატორების საბჭოს 2 სხდომა (27-28 თებერვალი; 30 ნოემბერი-1 დეკემბერი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ვახტანგ მახარობლიშვილმა.

თავი 6. ეკონომიკური დიპლომატია

2020 წლის განმავლობაში, **ეკონომიკური დიპლომატიის** ფარგლებში, გრძელდებოდა მუშაობა მსოფლიოს სტრატეგიულ ბაზრებთან ინტეგრაციის, ქართული პროდუქციისთვის პრეფერენციული საექსპორტო პირობების შექმნის, საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში არსებული შესაძლებლობების შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ცნობადობის ამაღლების, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კავშირების დამყარების, საქართველოში მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ასევე ტურისტების დამატებითი ნაკადების მოზიდვის ხელშეწყობის მიმართულებით.

- 10 სექტემბერს საქართველოსა და ფრანგული ბიზნეს-გაერთიანების „MEDEF international“ შორის ონლაინ-შეხვედრა გაიმართა რომელშიც საფრანგეთის მხრიდან მონაწილეობა მიიღო აგრო-სამრეწველო სფეროს ფრანგული კომპანიების ასოციაციამ „ADEPTA“ და მისმა წევრმა კომპანიებმა, ხოლო საქართველოს მხრიდან - სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებმა;

- 16 ოქტომბერს, „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ მეშვიდე რაუნდის ეკონომიკური და სავაჭრო განზომილების ფარგლებში, გაიმართა თემატური პანელი სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებზე, ასევე განახლებადი ენერგიის საკითხებზე, გაერთიანებული სამეფოს და საქართველოს შესაბამისი უწყებების და კომპანიების წარმომადგენლებს შორის ონლაინ შეხვედრა „Energy Infrastructure and Renewable Energy Roundtable“ გაიმართა;

- 29 სექტემბერს გაიმართა ვიდეო კონფერენცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და კორეის რესპუბლიკის ვაჭრობის, ინდუსტრიის და ენერგეტიკის სამინისტროს შორის, საელჩოს მონაწილეობით. მასზე განხილულ იქნა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თემა;

- 2020 წელს, გაფართოვდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობის ქსელი, რაც საზღვარგარეთ საქართველოს (მათ შორის ქვეყნის ბიზნეს სექტორის) შესახებ ინფორმაციის გავრცელების კარგ შესაძლებლობას წარმოადგენს (საელჩოების პარალელურად). კერძოდ, ხელი მოეწერა საქართველოს და მადაგასკარის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს; საქართველოს და არაბთა გაერთიანებული საამიროების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს; საქართველოს და ყირგიზეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ქუვეითის სავაჭრო სამრეწველო პალატას შორის თანამშრომლობის ოქმს; ლონდონის სავაჭრო პალატამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს;

- 13 იანვარს, გაიმართა შავი ზღვის კვლევათა საერთაშორისო ცენტრის (ICBSS) დირექტორთა საბჭოს 48-ე სხდომა. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მრავალმხრივი და რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს უფროსმა აკაკი ლომიძემ. სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ვაკანტური თანამდებობათა დაკავების მიზნით გაიმართა არჩევნები. ჩატარებული კენჭისყრის შედეგად ICBSS დირექტორთა საბჭოს თამჯდომარედ არჩეულ იქნა რუმინეთის წარმომადგენელი ბატონი დენ პეტრე, ხოლო მოადგილედ აკაკი ლომიძე;

- 21-24 იანვარს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მონაწილეობა მიიღო დავოსის ეკონომიკური ფორუმში და სიტყვით გამოვიდა სესიაზე "Uniting Europe";

- 11 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა შეხვედრა გამართა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გლობალური დეპარტამენტის დირექტორთან ანდრეას შაალთან და მადლობა გადაუხადა OECD-ს ხელმძღვანელობას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე, საგადასახადო და გარემოს დაცვით საკითხებზე ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის;

- 17-18 თებერვალს, ქ. ვენაში გაიმართა ეუთოს ეკონომიკური და გარემოს დაცვის 28-ე ფორუმის პირველი მოსამზადებელი შეხვედრა, რომლის ძირითადი თემა იყო კორუფციასთან ბრძოლის საშუალებით ეუთოს სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართულმა მხარემ;

- 24 თებერვალს, ქ. ჟენევაში ვიზიტის ფარგლებში, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან, ფრენსის გარისთან. მინისტრისთვის მომზადდა შესაბამისი სასაუბრო მასალები;

- 25 - 28 თებერვალს, გაიმართა UNECE-ს სახმელეთო ტრანსპორტის კომიტეტის 82-ე სესია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დელეგაციამ, უწყების დირექტორის მიხეილ ხმალაძის ხელმძღვანელობით;

- 19 მაისს, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის კვლევათა საერთაშორისო ცენტრისა (ICBSS) და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ერთობლივ ZOOM კონფერენციაში: "COVID-19 crisis: is regional cooperation relevant in efforts to confront it? What could the role of international organisations be for the day-after in the Black Sea region?";

- 21 მაისს, გაიმართა გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP) 76-ე სესია (the 76th session of the Economic and Social Commission for Asia and the Pacific), რომელშიც მონაწილება მიიღო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ნოშრევან ლომთათიძემ;

- წლის განმავლობაში ქართული მხარე აქტიურად მონაწილეობდა გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP) მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. მათ შორის 20 მაისს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე ხვთისიაშვილმა მონაწილეობა მიიღო გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP) აზია-წყნარი ოკეანეთის მე-7 მდგრადი განვითარების ფორუმში, რომელიც ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა;

- 16 ივლისს, მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ვირტუალურ სესიაში და გამოვიდა სიტყვით თემაზე: „What steps can leaders take to develop a new social contract for the countries of the region – one that commits to inclusivity, equity and sustainability? How can public and private actors support a dialogue in the region to address socioeconomic polarization as well as the risks associated with it?“;

- 27 ნოემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) საგარეო საქმეთა მინისტრების ვირტუალურ მინისტერიალში;

- 25 სექტემბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხვთისიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ ვირტუალურ მინისტერიალში;

- 25-26 ნოემბერს, გაიმართა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) უფროსი თანამდებობის პირთა (CSO) ვირტუალური შეხვედრა, რომლის ფარგლებში შედგა BSEC-ის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურენტული არჩევნები. BSEC-ის მუდმივმოქმედი სამდივნოს სამართლებრივი მრჩევლის თანამდებობაზე საქართველოს კანდიდატმა, ნინო ქაჯაიამ BSEC-ის წევრი ქვეყნების უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა;

- 18-19 თებერვალს ქ. მინსკში გაიმართა საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-5 სხდომა;

- წლის განმავლობაში განხორციელდა ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები: 1. ისრაელური კომპანიის „Tempo”; 2. ამერიკული კომპანიის „Polaris Wireless“ გაყიდვების რეგიონალური წარმომადგენელი; 3. 24-25 თებერვალს, საქართველოს, განახლებადი ენერგიის დარგში მოღვაწე დანიური კომპანიის „RACELL“ წარმომადგენლები ეწვივნენ; 4. საქართველოს ეწვია პორტუგალიური სამშენებლო ჯგუფის "elevo" (ახორციელებენ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს) დელეგაცია; 5. 25 ნოემბერს, გაიმართა ვებინარი მზის ენერგიის სფეროში მოღვაწე ფრანგული კომპანიის "TRYBA ENERGY" წარმომადგენლებსა და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებს შორის.

თავი 7. კულტურული დიპლომატია

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობდა მუშაობას კულტურული დიპლომატიის მიმართულებით.

- 9 სექტემბერს, საქართველო-ბრიტანეთის „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ მეშვიდე რაუნდის ფარგლებში გაიმართა ხალხთაშორისი ურთიერთობების პანელი ონლაინ რეჟიმში. შეხვედრაზე განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და დაძმობილებულ ქალაქებს შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობის საკითხები. „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ ფარგლებში ასევე გაიმართა პარალელური ღონისძიება, რომელიც შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას მიეძღვნა;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ბრიტანეთში ქართული სეზონის „საქართველო დიდ ბრიტანეთში 2020“ ფარგლებში ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით. COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ქართული კულტურის სეზონი გადატანილ იქნა 2021 წლისთვის;
- სექტემბერ-ოქტომბერში, საქართველოს საელჩოებმა საზღვარგარეთ მონაწილეობა მიიღეს ენების ევროპული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი ონლაინ რეჟიმში ჩატარდა;
- 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის 12 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების ორგანიზებით გაიმართა დიმიტრი ცინცაძის მხატვრული ფილმის „შინდისის გმირების“ ჩვენება;
- ტრენტოს (იტალია) 68-ე საერთაშორისო კინოფესტივალის (27 აგვისტო-2 სექტემბერი) ფოკუს ქვეყანა იყო საქართველო. ფესტივალის ორგანიზატორებმა წარმოადგინეს ქართული ფილმების ვრცელი რეტროსპექტივა სახელწოდებით DESTINATION…GEORGIA და ქართული კულტურის წარმომჩენი სხვა ღონისძიებები;
- საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლობით წარმატებით ჩატარდა თბილისის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის პირველი ონლაინ ტური. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნის 100-მა წარმომადგენელმა;
- დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩომ მოიპოვა ქართველი გენერლის, ზაქარია მდივნისა და მისი შვილის, ნინა მდივნის უნიკალური საარქივო მასალა. იგეგმება აღნიშნული მასალის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის მუზეუმისთვის გადაცემა;
- ეკვადორის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებაზე - ლოხას ცოცხალი ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღო ქართულმა ნაციონალურმა ბალეტმა „სუხიშვილები“. პანდემიის გათვალისწინებით, ფესტივალი ვირტუალურად მიმდინარეობდა. სუხიშვილების კონცერტი ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ფესტივალის ონლაინ-პლატფორმების მეშვეობით;
- ვირტუალურ ფორმატში გაიმართა ყოველწლიური კონფერენცია “ქართველოლოგიის დღე“, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს წარმატებულ გამოცდილებას COVID-19-თან ბრძოლის კუთხით. კონფერენცია საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გახსნა, რომელმაც ქართულ-ბრიტანული ხანგრძლივი წარმატებული ურთიერთობების შესახებ ისაუბრა;
- გრძელდება აქტიური მუშაობა UNESCO-ს სიებში ძეგლების ნომინირების მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში, ორგანიზაციას წარედგინა ახალი ნომინაცია;
- UNESCO-ს წარედგინა „კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ შესახებ კონვენციის შესრულების ეროვნული ანგარიში;
- 2020-2021 წლების UNESCO-ს „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად, ორგანიზაციას წარედგინა 7 საპროექტო განაცხადი, ხოლო UNESCO-ჩინეთის ერთობლივი სტიპენდიის ფარგლებში ორმა ქართველმა ახალგაზრდამ მოიპოვა სასწავლო სტიპენდია 2020-2021 წლებისთვის;
- დაფინანსდა UNESCO-ს „კულტურული გამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ კონვენციის საერთაშორისო ფონდში წარდგენილი პროექტი „Creative Twist – Boosting Economic Capacity of Creative and Cultural Industries through Mapping, Awareness Raising and Strategy Elaboration“;
- ოქტომბერში, UNESCO-ს პატრონაჟით გაიმართა ბათუმის მუსიკალური ფესტივალი. COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებით, გაიმართა დამსწრე მსმენელის გარეშე და გაშუქდა პირდაპირ ეთერში, სადაც ერთვებოდნენ არტისტები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებიდან;
- სსიპ “შემოქმედებითი საქართველო” შეუერთდა UNESCO-ს ინიციატივას ResiliArt - ეს არის პანდემიის საპასუხო გლობალური მოძრაობა, რომლის მიზანია არტისტების და შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლების მხარდაჭერის გზების ძიება კრიზისულ პერიოდში;

თავი 8. დიასპორული პოლიტიკა

პანდემიის პირობებში გრძელდებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური მუშაობა დიასპორული პოლიტიკის მიმართულებით.

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების შესწავლას. საანგარიშო პერიოდში სახელმძღვანელოები გაეგზავნათ საკვირაო სკოლებს და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) თანამშრომლობით, ახორციელებს საგრანტო პროგრამას - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ („საქართველოს ახალგაზრდა ელჩები“). საანგარიშო პერიოდში სპეციალურმა კომისიამ, ღია კონკურსის საფუძველზე გამოავლინა 35 ქვეყნიდან 25 გამარჯვებული ახალგაზრდა ელჩი. ონლაინ ფორმატში გაიმართა ე.წ. ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი და ორი ვებინარი სტუდენტებისთვის იტალიასა და ავსტრიაში განათლების მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

- მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრ ICMPD-ის მხარდაჭერით საბერძნეთში, ესპანეთსა და იტალიაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მომზადდა პრაქტიკული გზამკვლევები, რომელიც მოიცავს საემიგრაციო კანონმდებლობის შესახებ ყოვლისმომცველ ინფორმაციას. 8 ივლისს განხორციელდა სახელმძღვანელოს ონლაინ პრეზენტაცია იტალიის რესპუბლიკაში მყოფი თანამემამულეებისთვის;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში გამოვლინდა 45 გამარჯვებული თანამემამულე, მსოფლიოს 19 სხვადასხვა ქვეყნიდან. პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში პრიორიტეტი მიენიჭა იმ პროექტებს, რომელთა მიზანს წარმოადგენდა პანდემიის შედეგად შექმნილი კრიზისული ვითარების ფონზე უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეების დახმარება;

- მიმდინარე წლის 24-25 ნოემბერს, ონლაინ ფორმატში ჩატარდა კერძო სექტორის განვითარებაში დიასპორის ჩართულობის შესახებ პირველი რეგიონული კონფერენცია. ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს საგარო საქმეთა სამინისტრო, როგორც მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის წევრი უწყება და ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). რეგიონული კონფერენცია გაიმართა ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ღონისძიებაზე ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა დიასპორის მონაწილეობით სავაჭრო-საინვესტიციო კავშირების გაძლიერებაზე, კერძო სექტორის განვითარებაში ემიგრანტების ჩართულობის ხელშეწყობის გზებზე და ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე;

- საბერძნეთის რესპუბლიკაში, ქ. ათენის 50-ე (2017 წლიდან) და 150-ე (2019 წლის მარტიდან) საჯარო სკოლებში ამოქმედდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საბერძნეთის საჯარო სკოლებისთვის სპეციალურად შემუშავებული ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა შვიდი ონლაინ სამუშაო შეხვედრა იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან. შეხვედრას უძღვებოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი და დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, მუხრან გულაღაშვილი.

შეხვედრებზე მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებს და მიმდინარე პროექტებს, რომელთაც საგარეო უწყება ახორციელებს დიასპორული ორგანიზაციებისა და უცხოეთში მყოფი თანამემამულეების მხარდასაჭერად. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს სახელმწიფოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, გლობალური პანდემიის პირობებში უცხოეთში მყოფი თანამემამულეების დასახმარებლად გაწეულ საქმიანობას და მის შედეგებს.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის, დავით ზალკალიანის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძისა და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ბექა ოდიშარიას ერთობლივი ონლაინ შეხვედრა საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

2020 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ორ სხდომაზე წარადგინა ანგარიში, მსოფლიოში კორონავირუსის ახალი ტიპის გავრცელებისა და გამოცხადებული პანდემიის გამო, საზღვარგარეთ მცხოვრები/მყოფი საქართველოს მოქალაქეებისა და ჩვენი თანამემამულეების მძიმე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ასევე, პანდემიის პირობებში, ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, სამინისტროს მიერ გაწეული დახმარებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

2020 წლის 20-21 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობა მიიღო „ლევილის ქართული აკადემიის“ მმართველი საბჭოს სხდომაში და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე გაეცნო მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების პირველ ეტაპს, შეხვედრა გამართა სამშენებლო კომპანია „ETMB“-ის წარმომადგენლებთან და დეტალურად მოისმინა ანგარიში ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებთან და მათი დასრულების თარიღებთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრის მოადგილემ შეხვედრა გამართა ლევილის მერთან, ერიკ ბრევისთან, სადაც მხარეების მიერ განხილულ იქნა ისტორიული მამულის სარეაბილიტაციო პროექტის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ისტორიული კავშირის კუთხით და სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ასპექტები.

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დადგენის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ფუნქციონირებს თანამემამულის სტატუსის განმსაზღვრელი კომისია. საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 5 სხდომა. თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი დასკვნა გაიგზავნა 129 პირზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს საქართველოს მოქალაქეებისთვის თავისუფალი გადაადგილების არეალის გაფართოების მიმართულებით, სხვადასხვა ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულებების გაფორმების გზით: შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ეკვადორის რესპუბლიკის მთავრობას შორის დიპლომატიური, ოფიციალური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთა უვიზო მიმოსვლის შესახებ ძალაში შევიდა 2020 წლის 1 ივნისს. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და გრენადას მთავრობას შორის დიპლომატიური, ოფიციალური, სპეციალური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის ვიზის მიღების ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ და ორდინალური პასპორტების მფლობელთა ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ნეპალის მთავრობას შორის დიპლომატიური და ოფიციალური/სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთა ვიზის მიღების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს.

- 2020 წლის 14 თებერვალს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ორგანიზებით გაიმართა რიგით მე-16 საკოორდინაციო შეხვედრა, ხოლო 17 აგვისტოს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრა, 2021-2030 წწ. მიგრაციის სტრატეგიის პროექტის დეტალებთან და სამუშაო პროცესის შემდგომ ეტაპებთან დაკავშირებით;

- 2020 წლის 11 სექტემბერს გაიმართა COVID-19-ის გლობალური პანდემიის დროს სახელმწიფოს მხრიდან უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისთვის გაწეული დახმარების, ამ პროცესში გამოყენებული მიდგომების და აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის „JPM Strategic Solutions“ მიერ განხორციელებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია;

- 2020 წლის 11 ნოემბერს გაიმართა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების განხორციელების თაობაზე ერვროკავშირი-საქართველოს ერთობლივი კომიტეტის (JRC) მე-10 სხდომა, დისტანციურ რეჟიმში;

- 2020 წლის 16-19 ნოემბერს, ონლაინ რეჟიმში გაიმართა ვენის მიგრაციის კონფერენცია 2020 (VMC2020), რომლის ფარგლებში განიხილეს COVID-19 პანდემიის გავლენები შენგენის, თავშესაფრის მაძიებელთა სისტემის რეფორმასა და ევროპის მიგრაციის პოლიტიკაზე.

2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით საკონსულო დეპარტამენტის ქოლ-ცენტრის მიერ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია 48 864 მოქალაქეს. ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული წერილების რაოდენობამ შეადგინა 10 251 ერთეული.

საკონსულო დეპარტამენტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველო აგრძელებს მუშაობას ნაოსნობაში მყოფ საქართველოს მოქალაქე მეზღვაურებთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების მოგვარებაზე. 2020 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა 342 მეზღვაურის საკონსულო დაცვის კუთხით მუშაობა, დასრულდა 280 მეზღვაურის საქმე, მიმდინარეობს 62 მეზღვაურის საქმე.

საანგარიშო პერიოდში გადმოსვენდა საქართველოს 496 მოქალაქე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საპატიო კონსულების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს 2, XIV და XV, სხდომა. საანგარიშო პერიოდში დაინიშნა 5 ახალი საპატიო კონსული; გაიცა პატენტი და ამოქმედდება ეგზეკვატურის მიღებისთანავე 3 ახალი საპატიო კონსული; ნოტები თანხმობის თხოვნით გაიგზავნა 16 ახალ კანდიდატთან დაკავშირებით.

2020 წლის 3 მარტს სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის საქართველოში განხორციელებული ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა განზრახულობათა მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მოქალაქეთა მიმოსვლის გამარტივების თაობაზე.

2020 წლის 10 ივნისს გაიმართა დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამ-ის წევრ-სახელმწიფოთა საკონსულო სამსახურების ხელმძღვანელების ვიდეო კონფერენცია - „დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია – სუამ-ის წევრ-სახელმწიფოებს შორის საკონსულო საკითხებში ურთიერთდახმარების აღმოჩენის შესახებ“ კონვენციასთან დაკავშირებით.

თავი 10. სტრატეგიული კომუნიკაციები

საანგარიშო პერიოდში, საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურ მუშაობას ახორციელებდა სტრატეგიული კომუნიკაციების კუთხით.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებასთან კომუნიკაცია, როგორც ქვეყნის შიგნით უწყების საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის განმტკიცების მიმართულებით, ასევე საზღვარგარეთ საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და ქვეყნის პოზიტიური იმიჯის განმტკიცების მიზნით.

აღნიშნული ამოცანების ეფექტიანი განხორციელებისათვის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის გენერალური დირექტორატი, რომელიც კოორდინაციას უწევს პრესისა და ინფორმაციის და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებს.

პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

მსოფლიოში კორონავირუსის აფეთქების დროს, სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მხრიდან უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების დახმარებისა და მათ საჭიროებებზე ოპერატიული და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მუშაობა განისაზღვრა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. უცხოეთში მყოფი თანამემამულეების ეფექტიანი და ოპერატიული დახმარების მიზნით სამინისტროს ქმედებების დაგეგმარებაში ჩართულობა;

- COVID-19-ის პანდემიის დროს, დეპარტამენტი ჩართული იყო სამინისტროს მუშაობის საგანგებო რეჟიმში, მონაწილეობდა ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის დაგეგმარებაში.

2. COVID-19-ის შედეგების აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით სამინისტროს და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის დაგეგმარება და კოორდინაცია;

3. უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან და საზოგადოებასთან ოპერატიული, პირდაპირი კომუნიკაცია და COVID-19-ის პანდემიის დროს მოქალაქეების პრობლემებსა და საჭიროებებზე რეაგირება;

- COVID-19-ის პანდემიის დროს მოქალაქეებთან პირდაპირი კომუნიკაციისა და მათ საჭიროებებზე ეფექტიანი და ოპერატიული რეაგირების მიზნით ამოქმედდა/მოხდა:
  - COVID-19-ის გავრცელების ფონზე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მხრიდან, პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტთან კოორდინაციით ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა ინფორმაციის გავრცელება ადგილსამყოფელ ქვეყნებში არსებული ვითარებისა და დაწესებული შეზღუდვების შესახებ;
  - ადგილზე მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების, სამრევლოების აქტიური ჩართულობა, როგორც ინფორმაციის გავრცელების, ასევე მოქალაქეთა ადგილზე დახმარების მიმართულებით.

4. საკომუნიკაციო და საინფორმაციო მასალების მომზადება და მედიასთან/საზოგადოებასთან კომუნიკაცია.

- პანდემიასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ საინფორმაციო ხასიათის მასალების მომზადება და გავრცელება; სამინისტროს ხელმძღვანელობის აქტიური კომუნიკაცია მედიასთან, ახალი ამბების გამოშვებებში, მედიისთვის აქტუალურ საკითხებზე კომენტარების/განმარტებების გაკეთება;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე საზოგადოების ინფორმირება;
- ვირუსთან ბრძოლაში საქართველოს პოზიტიური და წარმატებული გამოცდილების შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ ადგილსამყოფელ ქვეყანაში/გადაფარვის ქვეყნებში არსებული ვითარების, დაწესებული შეზღუდვების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

- საელჩოების მხრიდან ადგილზე მოქალაქეებისთვის გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

სოცილაური ქსელების საკომუნიკაციო პლატფორმების გაძლიერება და ადამიანური რესურსების დამატება მოქალაქეებთან პრო-აქტიური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით:

- ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ცხელი ხაზის შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველსაყოფად დამატებითი სატელეფონო ნომრების და ადამიანური რესურსის მობილიზება. მოხდა აღნიშნულის ფართოდ გავრცელება ყველა საკომუნიკაციო პლატფორმაზე;

- პირადი ელ. ფოსტის, საკონტაქტო პლატფორმების WhatsApp, Viber, Facebook ჯგუფების მეშვეობით შემოსულ კითხვებზე პასუხის უზრუნველყოფა;

- სამინისტროს, მინისტრისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ფეისბუკ გვერდებზე საკომუნიკაციო პლატფორმების გაძლიერება, ოფიციალურ სოციალურ ქსელებში ინბოქსში, ასევე საჯაროდ მომართულ განცხადებებზე მყისიერი რეაგირების უზრუნველყოფა.

კომუნიკაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობა, მთავრობის ადმინისტრაციასთან მჭიდრო კოორდინაციით, რის შედეგადაც განისაზღვრა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ:

- უცხოეთში მყოფი თანამემამულეებისთვის ონ-ლაინ სამედიცინო კონსულტაციების ორგანიზება, ექიმ-ინფექციონისტის მონაწილეობით;

- საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების მიზნით ორგანიზებული ავიარეისების შესახებ საზოგადოების პრო-აქტიური ინფორმირება:

  - თითოეულ რეისზე ინფორმაციის მომზადება;

  - დეპარტამენტის მიერ შეიქმნა ყოველდღიურად განახლებადი მონაცემთა ბაზა, დაგეგმილი საერთაშორისო ფრენების შესახებ;

  - მოქალაქეების დაბრუნების მიზნით დაგეგმილ რეისებზე ინფორმაციის მომზადება და კომუნიკაცია;

  - საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსდა დეპარტამენტის მიერ შემუშავებული, რეგულარულად განახლებადი, ე.წ. „სტატისტიკა“, სადაც მოცემულია ინფორმაცია უცხოეთში მყოფი მოქალაქეებისთვის ადგილზე გაწეული დახმარების რაოდენობის, ასევე სამშობლოში დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობის შესახებ.

- სამინისტროს ხელმძღვანელობით ვიდეო-კონფერენციების გამართვა:

  - ელჩებთან/კონსულებთან მინისტრის ვიდეო-კონფერენციების გამართვა, რეგიონების მიხედვით, ადგილსამყოფელ ქვეყნებში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

- საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის დახმარების აღმოჩენის სისტემატიზირება. ინფორმაციის შეგროვება/დამუშავება:

  - ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით ანკეტის შემუშავება;
  - დახმარების აქციების დაგეგმვა/განხორციელება (SPAR-ის აქცია);
  - ბენეფიციარი მოსახლეობის კომუნიკაციის უზრუნველყოფა მედიასთან.

- საზღვარგარეთ მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების, სამრევლოების, საპატიო კონსულების აქტიური ჩართულობის კოორდინაცია.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

- 2020 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში, აქტიურ რეჟიმში იმართებოდა შეხვედრები და კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, სხვადასხვა პასუხისმგებელ უწყებებსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლის მნიშვნელობის, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, მოგზაურობის პირობებისა და მისი ბოროტად გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ საინფორმაციო კამპანიის გააქტიურების მიზნით;

- არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, ევროკომისიის საიტზე ოფიციალურად გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, მომზადდა ინფორმაცია, პანდემიის პირობებში, შენგენის გარე საზღვრების გახსნასთან დაკავშირებით ევროკომისიის რეკომენდაციისა და ვებ-პორტალის Re-open EU, ასევე კანონიერად ყოფნის ვადების გახანგრძლივების პრაქტიკის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია გავრცელდანატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, დიასპორის ვებ-გვერდის და IOM-ის საინფორმაციო ჯგუფის მეშვეობით. ასევე, მომზადდა და პერიოდულად განახლდებოდა დოკუმენტი

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვრების გახსნის და მოგზაურობის წესების/პირობების შესახებ;

- საანგარიშო პერიოდში, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) აქტიური კონსულტაციების შედეგად, ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა - მიგრაციული პროცესი ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის და პოსტ-პანდემიურ კონტექსტში;
- პანდემიის გამო შექმნილი ვითარების გათვალისწინებით და ევროკავშირი/შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებისთვის არსებული დივერსიფიცირებული რეგულაციების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველსაყოფად, Schengen/EU App. მობილური აპლიკაციის განახლება-გამართვის მიზნით, თანამშრომლობის ინიციატივით გაიმართა კონსულტაციები მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD);
- 2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ,,საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში ცვლილება, რომლის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ხელშეწყობის მიზნით დაიგეგმა საინფორმაციო კამპანია;
- გლობალური პანდემიის პირობებში, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს ათასობით მოქალაქის სამშობლოში დაბრუნების მიმართებით გაწეული უპრეცედენტო ძალისხმევისა და შედეგების წარმოჩენის მიზნით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) თბილისის ოფისთან თანამშრომლობით, დაიგეგმა საიმიჯო ვიდეო რგოლის დამზადება;
- გრძელდებოდა „2017-2020 წლებისთვის ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ იმპლემენტაციის კოორდინაცია. შემუშავდა სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა და ანგარიში;
- სამინისტრო ჩართული იყო სუამ-ის საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ასევე, მიმდინარეობდა სუამ-ის ერთობლივი განცხადებების მომზადების წესის შესახებ დოკუმენტზე მუშაობა. დეპარტამენტმა, ასევე, დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროს და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის თემების შესახებ გვერდების განახლება ინგლისურენოვან ვიკიპედიაში;
- სამინისტრომ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით წარმოადგინა ციფრული ფოტო პროექტი „ქართველი დიპლომატები პანდემიის პირისპირ". გამოფენა ეძღვნებოდა საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების საგანგებო რეჟიმში გაწეულ საქმიანობას, რომლის ფარგლებშიც ქართველი დიპლომატები პანდემიის კვალდაკვალ დახმარებას უწევდნენ და ზრუნავდნენ COVID-19-ით დაზარალებულ საქართველოს მოქალაქეებზე საზღვარგარეთ;
- საანგარიშო პერიოდში, მომზადდა დეზინფორმაციის მონიტორინგის ყოველთვიური ანალიზის 11 დოკუმენტი, რომელიც გავრცელდა სამინისტროსა და საელჩოებში შიდა მოხმარებისთვის. ახალი კორონავირუსის გავრცელების კონტექსტში, შესაბამისი დეზინფორმაციული აქტივობების და ძირითადი მითების იდენტიფიცირების შედეგად, მომზადდა 4 ანალიტიკური ბარათი. ასევე, გლობალური პანდემიის პერიოდში არსებულ დეზინფორმაციასთან დაკავშირებით მომზადდა ცალკე საინფორმაციო-ანალიტიკური დოკუმენტი: „COVID-19 პანდემიის პერიოდში არსებული დეზინფორმაციის ანალიზი“. მომზადდა ანალიტიკური დოკუმენტი ყარაბაღის კონფლიქტის პარალელურად მედიაში საქართველოსთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაციის შესახებ;
- აქტიურად გრძელდებოდა თანამშრომლობა ევროკავშირის პროექტთან „ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობის პროგრამა II”;
- დეზინფორმაციასთან ბრძოლის მეთოდების გასაძლიერებლად თანამშრომლობა გაზარდა რიგ უწყებებთან, საელჩოებთან და არასამთავრობო სექტორთან. მთავრობის ადმინისტრაციის ჩართულობით, სამინისტრო მონაწილეობას იღებს აშშ-ის გლობალური ჩართულობის ცენტრის (G.E.C) - GEC-IQ პლატფორმაში;
- 2020 წელს ყოველკვირეულად მზადდებოდა და ვრცელდებოდა საინფორმაციო დაიჯესტი „Newsletter” საქართველოში მიმდინარე ძირითადი ღონისძიებების შესახებ. ასევე, მზადდებოდა და ვრცელდებოდა ყოველთვიური ბანერები „Eye on Georgia”, რომელიც ასახავს საქართველოს შესახებ საერთაშორისო მედიის გამოხმაურებებს;
- აგვისტოს ომის 12 წლისთავთან დაკავშირებით, დეპარტამენტის მიერ მომზადდა საკომუნიკაციო კამპანია;
- 2020 წლის 15 დეკემბერს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების მე-6 კომიტეტში დეპარტამენტმა წარმოადგინა ინფორმაცია სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით მიმდინარე საკითხებზე;
- 2020 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა მონაწილეობა მიიღო „გლობსეკის“ (GLOBSEC) ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმში „GLOBSEC Bratislava Forum 2020”. ყურადღება გამახვილდა საქართველოში დეზინფორმაციის მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და პანდემიის პერიოდში სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გაწეულ ძალისხმევაზე.

თავი 11. სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ"

სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" ორგანიზებითა და მხარდაჭერით, 2020 წელს მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისთვის საქართველოს მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. აღნიშნულის მისაღწევად საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა 400-მდე ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 000-ზე მეტმა მოქალაქემ როგორც თბილისიდან, ასევე, რეგიონებიდან. ახალი კორონავირუსის პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის II, III და IV კვარტალებში ორგანიზებული 239 საინფორმაციო ღონისძიება სხვადასხვა ციფრული პლატფორმის გამოყენებით გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო 8300-მა მონაწილემ. საანგარიშო პერიოდში შეხვედრები გაიმართა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან: პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, მედიისა და ეთნიკური უმცირესობების, გამგეობებისა და თვითმართველობების წარმომადგენლებთან და სხვა. ამასთან, სოციალური ქსელების საშუალებით მიმდინარეობდა აქტიური საინფორმაციო კამპანია დასავლური ინსტიტუტების, მათი მიზნების, ამოცანებისა და ღირებულებების, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელობის, პოზიტიური შედეგებისა და არსებული შესაძლებლობების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, 2020 წელს, საინფორმაციო ცენტრის მიერ გამართული აქტივობები:

- სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ" მიერ ნატოსა და ევროკავშირის, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ 2020 წელს დაიგეგმა და განხორციელდა 400-მდე აქტივობა რომელშიც ჩაერთო 12 000-ზე მეტი მონაწილე;

- ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის წესებისა და აღნიშნული სიკეთის მართლზომიერი გამოყენების მნიშვნელობის განხილვას დრო დაეთმო 224 შეხვედრაზე დამსწრე 4000-ზე მეტ მონაწილესთან. მნიშვნელოვანია, რომ 2020 წლის საანგარიშო პერიოდში 22 ღონისძიება კონკრეტულად უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას მიეძღვნა, რომლის საშუალებითაც პირისპირ კომუნიკაცია დამყარდა 500-ზე მეტ მოქალაქესთან;

- „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში" - მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდა, რომლის განხორცილებისთვისაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი იყო 499 675 აშშ დოლარი. 18 თვიანი პროექტის პირველი ფაზა მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობის გაცნობიერებული მხარდაჭერის განმტკიცებასა და გაზრდას და ანტი-დასავლური პროპაგანდის შესახებ საქართველოს მოქალაქეების მედეგობის გაძლიერებას. მხოლოდ 2020 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში 330 ღონისძიება განხორციელდა რომლის საშუალებითაც პირდაპირი კომუნიკაცია დამყარდა 11 000-მდე ადამიანთან;

- ასევე პროექტის ფარგლებში, სოციალური მედიის საშუალებით წარმოებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში 2020 წელს მომზადდა 85 შემეცნებითი პოსტი, რომლებმაც დააგროვეს 1 292 415 ჩვენება და მათ გაეცნო 230 174 ადამიანი. აღნიშნული ინფორმაცია, ასევე, გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების (სომხურ და აზერბაიჯანულ) ენებზე, რომლის ფარგლებშიც მომზადდა 28 პოსტი, რომლებმაც ჯამში დააგროვა 178 289 ჩვენება და ისინი ნახა 37 938 ადამიანმა;

- პროექტის მედია კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს დასავლური ინტეგრაციის საკითხებზე რეგიონული მედია პარტნიორების მიერ მომზადდა 280-ზე მეტი თემატური მედია პროდუქტი, რომელსაც 1 000 000-ზე მეტი მნახველი ჰყავდა;

- მომზადდა, განახლდა და გამოიცა საინფორმაციო მასალები როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე;

- მიღწეულმა შედეგებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას საქართველოს ათივე რეგიონში ფართო საზოგადოებისათვის; ასეთი ინტერვენციის შედეგად, რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოსახლეობა რეგულარულად იღებს მეტ ინფორმაციას იმ სარგებლისა და შესაძლებლობების შესახებ რაც ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას მოაქვს;

- საანგარიშო პერიოდში, 9 მაისიდან 3 ივლისის ჩათვლით საქართველოში ევროპის დღეები 2020 უკვე მერვედ, მაგრამ განსხვავებული - ციფრული საინფორმაციო კამპანიის ფორმატით გაიმართა. სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან პარტნიორობით და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, გამართა 75 საინფორმაციო და საგანმანათლებლო ციფრული ღონისძიება, რომლის ფარგლებში საერთო ჯამში დამსწრე აუდიტორიამ შეადგინა 2595 მონაწილე, როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს რეგიონებიდან.